



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 498

თბილისი

„19“ 04 2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი, საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას ახორციელებენ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გზით და ასევე იურიდიულ პირებში, რომელიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღების მიზნით 2019 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, და „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და პირობების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 17 აპრილის N445670 სამსახურებრივი ბარათისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 18 აპრილის N447911 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

გზრძანებ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი, საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს

წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას ახორციელებენ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გზით და ასევე იურიდიულ პირებში, რომელიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღების მიზნით განისაზღვროს 2019 წლის პრიორიტეტები:

- ა) ხელოვნება;
 - ბ) ბიზნესი და ადმინისტრირება;
 - გ) ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
 - დ) ინჟინერია და საინჟინრო საქმე;
 - ე) წარმოება და გადამუშავება;
 - ვ) არქიტექტურა და მშენებლობა;
 - ზ) სოფლის მეურნეობა;
 - თ) მეტყვეობა;
 - ი) მეთევზეობა;
 - კ) ვეტერინარია;
 - ლ) ინტერდისციპლინური;
 - მ) ჯანდაცვა;
 - ნ) პერსონალური მომსახურებები;
 - ო) ტრანსპორტის მომსახურებები.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

შემსრულებელი:

იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

 18/04/2019 /თამარ ლაჩაშვილი/

შეთანხმებულია:

იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან

 /დენის სალუქვაძე/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

 /იოსებ კუჭავა/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

 /კატერინე მაჩიტაძე/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან

 /დავით ლომინაშვილი/

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან

 /ირინე წეროძე/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი

 /ნანა ფერაძე/

საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

 18.04.19წ /ნანა ხმალაძე/

მინისტრის მოადგილესთან

 /ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. იურიდიულ დეპარტამენტს;
2. ეკონომიკურ დეპარტამენტს;
3. საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
4. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს;
5. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
6. სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს;
7. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
8. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.